# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 337. | შაბათი, 6 აგვისტო 1905 წ. | გაზეთის № 2881.

საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

# მძევალი

(შილლერისა)

ჰსურდა მოეკლა... დიანასესა
დაუახლოვდა მალვით დამონი,
მაგრამ კარის მცველთ შეიპყრეს იგი.
„მოკვლას უქადდი ვიღაცას მგონი!?.“
მეფე მრისხანედ ტყვეს შეეკითხა...
„ვის უმზადებდი, სთქვი, მაგ ხანჯალსა?
„წმინდა სამშობლოს, ხალხის და ქვეყნის
„ფეხით გამთელავს, ბილწსა, მტარვალსა.“
„ჯვარზე გაგაკრავ, შეუპოვარო!“
„არა, სიკვდილის არ მეშინია
„და შებრალება რომ გთხოვო მე შენ,
„ჩემო მტარვალო, ტყვილად გგონია!
„მხოლოდ, ცის მადლსა, სამს დღეს გამიშვი,
„დას გავათხოვებ, კვლავ დავბრუნდები;
„მძევლად მეგობარს დაგიტოვებ და
„მას დააჭედე ჩემი ხუნდები“.
„კეთილი!“—მეფემ სიჩუმის შემდეგ
ცბიერის ღიმით მიუგო ტყვესა,—
ვასრულებ შენსა თხოვნა-საწადელს,
მაგრამ წუთი თუ გასცდა სამს დღესა,
მე შენ აღარრას დაგედავები,
მთლად გაპატიებ შენაცოდარსა...
მხოლოთ შენს ნაცვლათ ჯვარზე გავაკრავ
და ისე მოვკლავ შენს მეგობარსა.

—

„სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტა
„მეფემ,—დამონმა უთხრა მეგობარს,—
„მაგრამ ჩემი და რომ გავათხოვო,
„სამი დღით წასვლის მაძლევს მე ნებას.
„და, გთხოვ, ვიდრემდე დავბრუნდებოდე,
„შენ მასთან მძევლად იმყოფებოდე.“

—

მოძმე უსიტყვოდ გადაეხვია,
მითი აღუთქვა ძმას ერთგულება...
განშორდა მსწრაფლად დამონ სირაკუზს
და თავის დისკენ მიეშურება.
დას გადასწერა სამს დღეში ჯვარი...
მოდის რომ იხსნას თვის მეგობარი.

—

მაგრამ უეცრად ასტყდა გრიგალი
ზათქვით—ღრიალით მოსქდნენ ღვარები;
რუმ ბარად ირგვლივ მოთხარა მიწა,
გახშირდა მინდორ-ველად ხრამები.
ხიდისკენ ეცა დამონი ჩქარა...
ზვირთთ დაემონათ მისი კამარა.

—

ამაოდ დადის ის ზღვის ნაპირას,
ამაოდ გასცქერს შორად სივრცეში
ამაოდ იხმობს მაშველსა თვისსა—
არავინ მოსჩანს მჩქეფარ ზვირთებში.
არც იალქანი, არც სადმე ნავი,
ირგვლივ მხოლოდ ზღვა და ტანჯვა მწვავი.

—

ხვეწნა-ვედრებით მუხლზე ეცემა
დამონი, სულით აღშფოთებული:
„ოჰ, ზევსო! ზვირთნი დააწყნარევი!
„დრონი გარბიან... თან მიაქვთ გული.
„ფიცი მივეცი, მსურს ავასრულო,
„ნუ გაახარებ ჩემზე მტარვალსა...
„თუ დავგვიანდი,—ვაჰმე, ვაჰიმე!
„ჩემს ნაცვლად მოჰკვლენ ჩემს მეგობარსა!“

—

უქმია ყველა! ღელავს უფსკრული,
ამქუხრებული ტალღა ზღევს ტალღას,
გადის დრო-ჟამი და ყოვლი წუთი
დამონის გულში აწვეთებს ბალღამს.
ვერ მოითმინა... თავ-განწირული
გადაერია მღელვარე ზღვასა;
გაჰკრა მარჯვენა ბრძოლისა შვილმა
და შორს გადაჰყვა ტალღით ტალღასა.
რა მიაღწია ზღვისა ნაპირას
და ზევს—შემოქმედს—უძღვნა მადლობა,
მახლობელ ტყიდან ყაჩაღთა ბრბომა
მოსაკლავადა გზა გადუღობა. [ გან?“
„რა გსურთ? მითხარით, რას ითხოვთ ჩემ-
შიშით და კრძალვით ეუბნება ის:
„სიცოცხლის მეტი არარა მაქვს რა
„და ეს სიცოცხლეც მეფეს ეკუთვნის.“
ბრაზ-მორეულმა ერთ მათგანს კეტი
წაართვა, სტყორცნა ყაჩაღთა მხარეს
და სამი დასცა უსულოდ ძირსა,
დანარჩენთ თავი ტყეს შეაფარეს.

—

მზე სწვავს ზეციდან არე-მარესა,
მგზავრი სიცხისგან ქანც-მილეული,
ზევსს ევედრება: „შეუპოვარი
„ტალღები ზღვისა იქმნენ ძლეული!
„შენის წყალობით, პირქვე დაემხო,
„ავაზაკთა ბრბო, ყოვლად საზარი!...
„ოჰ, ზევსო, ზევსო! ახლაც მიშველე,
„რომ დავიფარო მე მეგობარი!“
და, აჰა, იქვე მახლობელ ტყიდან
მოესმა ჩქეფა ნაკადულისა;
მოჩუხჩუხებდა ველზე ვერცხლის ფრად,
დიდება ზამთარ-გაზაფხულისა.
მწყურვალი მსწრაფლად დაეწაფა მას,
და ხარბად ჰყლაპდა ზეციურ ცვარ-ნამს.

—

ოქროს ფერადა ამწვანებულ ველს
გარდაეფინა მაღლით ხეთ ჩრდილი
და ძირს, გრძლად გაშლილ შარა გზაზედა,
სად მიმოქროდა ნიავი გრილი,—
დამონმა რაღაც ჩრდილს მოჰკრა თვალი...
წამოეწია ორს მიმავალ მგზავრს,
დაუახლოვდა და გაიგონა:
„უთუოდ ეხლა გააკვრენ მას ჯვარს.“

—

ჯოჯოხეთია დამონის გულში,
შიში უსუსტებს ღონეს და ძალსა
და ჩამავალ მზით გაბრწყინვალებულს
სირაკუზის კოშკს უმტერებს თვალსა.
ამ დროს ფილოსტრატ წინ ეგებება
და თავის ბატონს ემუდარება:
„გაბრუნდი უკან! გვიანღა არის!..
„ვეღარ უშველი შენს მეგობარსა,
„მეფემა ბრძანა და იგი ჯალათთ
„უკვე გააკრეს წამების ჯვარს.
„ოჰ, ის ყოველ წუთს მოგელოდა შენ,
„გულს არ შეუშვა ამაოება;
„მტარვალთა უკმეხ სიცილ-ხარხარმა,
„ვერ დაუკარგეს მას სასოება“.
„თუ გვიანღაა... სულის მეგობარს
„თუ ვერ დავიხსნი, ვეღარ ვუშველი...
„წავალ მის ტანჯვას გავიზიარებ...
„დეე, შემაბან წამების ძელი.
„არ ვათქმევინებ ბილწსა მტარვალსა,
„რომ მე ვუმტყუნე ჩემს წმინდა ვალსა...
„რომ მეგობრობა არსებობს ქვეყნად
„იგრძნოს და დე მეც... ვიქმნე მის
[მსხვერპლად...“

—

მზე ჩაესვენა... აჰა, დამონი
დაუახლოვდა ჯგუფად მდგომ ხალხსა
და რა იხილა ბრბო უგუნური,
ჯვარით დატვირთულ მის მეგობარსა
ურცხვად სტანჯავდა... გააპო ხალხი
და შეუძახა: „ღირსი ტანჯვისა
„მე ვარ, ჯალათნო! ვისაც სიკვდილი
„გადაუწყვიტეს, მე თვით ვარ ისა!“

—

გაკვირვებული შეჰყურებს ხალხი
მეგობართ ხვევნა-კოცნა-სიხარულს,
ხედავენ რა მათ შვებისა ცრემლსა,
ცრემლით ინამვენ თვითონც თვალს და
ყველა ეს მტარვალს შეატყობინეს, [გულს.
მოლბა მრისხანე, შეუპოვარი
და განაცხადა: „მომგვარეთ აქა
ჩქარა დამონ და მის მეგობარი.“
მიჰგვარეს, მან მათ ლმობიერათა
უთხრა: „ყოველ მხრივ თქვენ დამძლიეთო!
„მე მეგობრობას არა-რად ვრაცხდი
„და თქვენ ეს აზრი დამირღვიეთო.
„თქვენს წმინდა კავშირს, თქვენს მეგობრო-
„მსურს შევუერთდე... მესამე ვიყო... [ბას,
„თქვენთან ვიცოცხლო, თქვენთანვე მოვ-
„თქვენი ჭირ-ლხინი შუა გავიყო.“ [კვდე,

**ბ. ახოსპირელი.**

# მხოლოდ ის

(არაბული ლეგენდა)

„ღმერთი განისვენებდა“.

ექვსს დღეს იმუშავა, გააჩინა ზეცა და დედამიწა, ყოველი ხე და ყოველი მცენარე, ყოველი პირუტყვი, ყოველი ფრინველი და ბოლოს ადამიანი. მეშვიდე დღეს დაასრულა დიდებული მუშაობა და დასასვენებლად თავის მაღალს სამეფო ტახტზედ დაბრძანდა.

ხელები სამეფო ტახტის აქეთ-იქით მოაჯირებზე გადაეწყო, თავი გულზე დაენდო, თვალები ნახევრად დაეხუჭა, გული კი საუკუნო მშვიდობით და სიხარულით ჰქონდა ავსილი. მხოლოდ დროკამოშვებით მიიხედავდა აქეთ-იქით; იმის შეხედვაში სიამაყე გამოიხატებოდა. ღმერთი ხედავდა ყველას, რაც კი გაეჩინა, და ძალზე მოსწონდა. ჩუმის, თითქმის გაუგებარის ხმით ჩურჩულებდა მისი ბაგე:

„დიაღ, მე დიდებული ვარ! ყოვლის შემძლებელი ვარ!“

უცბად ქვემოდან რაღაც სიტყვები, რაღაც ხმა შემოესმა. შეიხედა ტახტის ქვეშ და დაინახა პატარა, ბალნიანი, მიწასავით შავი მცირე ქმნილება, რომელიც ეხლახან გააჩინა. ეს ქმნილება იმის წინაშე იდგა და ეშმაკობითა და ძლიერებით სავსე თვალებით უყურებდა.

ის იყო ეშმაკი, რომელიც აქამდის ტახტის ძირას იჯდა, როგორც ძაღლი თავის პატრონის ფეხებთან. ეხლა კი გამართულიყო წელში, მედიდურად და თავხედად იდგა; პირდაპირ თვალებში უცქეროდა თავის გამჩენს და დაბალის, დამშვიდებულის ხმით ლაპარაკობდა:

— უფალო, მე შენზე ძლიერი ვარ!



ქართველი მოხუცი დედაკაცი.—ნახატი ა. ბერიძისა.

უფალმა ერთს წამს თავის ნათელი შუბლი შეიკრა; გაჯავრდა, მაგრამ მალე დამშვიდდა: შუბლი ისევ გაეხსნა, გაიღიმა და ბრძანა:

— შენ საკმაოდ კადნიერი ხარ. ვხედავ, რაც შენზე ამაგი მიმიძღვის, ამაოდ არ ჩამივლის: შენ კარგად შეასრულებ შენს კუთვნილს განთვისებულს მოქმედებას.

მაგრამ ეშმაკმა წინანდებურად დარწმუნებით და დაბეჯითებით გაიმეორა:

— მე შენზე ძლიერი ვარ!

ეს კი გადამეტებული და წრეს გადასული იყო. ასეთს თავხედობას არ მოელოდა. მართალია, საკმარისია ერთი ხელი აიქნიოს და ეშმაკის სახსენებელიც კი აღარ იქნება, მაგრამ ეს ხომ არ არის მისი ძლიერება? იმით ხომ არ არის იგი ყოვლის შემძლებელი? არა, დაე არსებობდეს. მარტო იმიტომ არის არსებობის ღირსი ეშმაკი, რომ ჰბედავს და ამ გვარად ელაპარაკება თავის გამჩენს. სწორედ, რომ კარგი შესაქცევარია!

ეშმაკი კი ისევ მაღლა აღებულის თავით იდგა და სახეზე ეწერა: „მე შენზე ძლიერი ვარ!“

— აბა, რა გინდა, ქაჯო?

— ჩვენი ძლიერება გამოვიჩინოთ, უფალო!

— კარგი, გამოვიჩინოთ. მაგრამ რით?

— რითიც გინდა.

მაშინ ღმერთმა მიიხედა სამოთხისკენ და მშვენიერ ბაღის ხეების ქვეშ მთვლემარე ადამი დაინახა.

— იმითი!—უთხრა ღმერთმა ეშმაკს და ხელი ადამისკენ გაიშვირა.

— თანახმა ვარ, ღმერთო.

— მე რასმე ავუკრძალავ, შენ კი ეცადე, რომ ჩემი ბრძანება დაარღვიოს.

ბრძანა ეს ღმერთმა, გადმობრძანდა ტახტიდან და ადამისკენ გაემართა.

— კიდევ ერთი სიტყვა,—შეაჩერა იგი ეშმაკმა.

— რაღა გინდა?

— თუ შენი ბრძანება დაარღვია ჩემის შეჩენით, ტახტიდან ჩამობრძანდი და არასოდეს ზედ აღარ ახვიდე, მე კი ქვეყნის მმართველად დამნიშნე.

— აგრე იყოს.

— თქვენ მოწამენი იყავით!—მიუბრუნდა და უთხრა ეშმაკმა ზეცას და დედა-მიწას.

***

წყნარი ღამე იდგა ქვეყანაზე. მაღლა, მინდვრებსა და ტყეებს ზემოდ, მიწასა და წყალს ზემოდ, ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. სამოთხის ბაღის ხეებს შუა მსუბუქი ნიავი დაჰქროდა და ფოთლებს ნელა არხევდა, აშრიალებდა. ადამიანი დიდ, ტოტებიან ხის ქვეშ იჯდა, ყურს უგდებდა ღამის სიჩუმეს და ოცნებაში გართულიყო.

— ადამ,—მოესმა ხმა უფლისა.

ადამი შეკრთა და ადგა.

— აქ გახლავარ, უფალო!

— უყურე, ადამიანო!—ღმერთმა ადამს ხელი მოჰკიდა, დააყენა შუა ბაღში, აჩვენა ყველა ხე: ვაშლისა, ლეღვისა, ნუშისა, მძიმე ვაზი, რომელიც ბაღის ოთხივ კუთხივ ჰყვაოდა.— იცი, ყველა ეს რისთვის გავაჩინე?

— არ ვიცი, უფალო!

— შენთვის, ადამიანო!

გახარებული ადამი თავჩაღუნული იდგა.

— შენთვის,—განაგრძობდა უფალი,—იმიტომ, რომ შენ მიყვარხარ. ეხლა კი ყურადღებით მომისმინე, რაც გითხრა. გაჰხედე irgvliv,—და ღმერთმა ბაღის ხეებზედ მიუთითა:— „ყოველ ხის ნაყოფის ჭამა შეგიძლია, მხოლოდ ნაყოფი იმ

ხისა, რომელიც ბაღის შუა ადგილას სდგას, არ უნდა სჭამო და არც მიეკარო, იმიტომ რომ მასში სიკვდილია. რა დღესაც შენ იმ ნაყოფის გემოს გაიღებ, იმ დღესვე მოკვდები.“

— ოჰ, ჩემო ყოვლის შემძლებელო მბრძანებელო!

— დაიხსომე ჩემი სიტყვა. მე შენ მიყვარხარ და შენი სიკვდილი არ მინდა, ამიტომ გირჩევ: გამიგონე, თუ გინდა იცოცხლო.

ღმერთი განშორდა ადამს.

ადამი რომ მარტო დარჩა, კიდევ დიდხანს ესმოდა სიტყვები: მე შენ მიყვარხარ. ეს სამი სიტყვა, იმის ყურებში გასწიოდა, თვალ წინ ედგა, მოეჩვენებოდა ხოლმე იმ მდინარის შხუილში, რომელიც ბაღს ჩამოუდიოდა, ფოთლების ნელს შრიალში. მისი გული სიყვარულის მორევში სცურავდა, ღვთის მიმართ მადლობით სავსე იყო, და ადამმა დაიფიცა ღვთის მარად სიყვარული, მუდმივი მორჩილება, რომ დაპირებულ საჩუქრის ღირსი გამხდარიყო.

როდესაც ღმერთი დაბრუნდა, მოშლოდინე ეშმაკს უთხრა:

— ეხლა გასწი, შენი რიგია. მე ჩემი გავაკეთე. როდესაც დამამარცხებ, მოდი. აქ დაგიცდი.

წყნარი ღამე იდგა ქვეყანაზედ. მაღლა, მინდვრებსა და ტყეებს ზემოდ, მიწასა და წყალს ზემოდ, ვარსკვლავები კაშკაშებდნენ, სამოთხის ბაღის ხეებს შუა მსუბუქი ნიავი დაჰქროდა და ნელა აშრიალებდა ფოთლებს. ადამიანი დით ტოტებიან ხის ქვეშ იჯდა, ყურს უგდებდა ღამის სიჩუმეს და ოცნებაში გართულიყო.

უცბად ღამის სიჩუმე ხმამაღალმა ხარხარმა დაარღვია. „ჰა, ჰა, ჰა! ჰა, ჰა, ჰა!“ გაისმოდა ყოველის მხრით—ბაღში და მის გარშემო, მაღლა და ძირს. ერთ წამში ბაღი ეშმაკებით გაივსო. ხმა მაღალი, შეუწყვეტელი ხარხარი ისმოდა ჰაერშიც. ეშმაკები ბაღში დატრიალებდნენ, ცეკვავდნენ, ხტოდნენ და ღრიალებდნენ. ჩქარა იმ ხესაც შემოესივნენ გარშემო, რომელიც ბაღის შუაგულას იდგა, ჰკრეფავდნენ ნაყოფს, სჭამდნენ და მღეროდნენ:

აქეთკენ, ჩვენსკენ, ადამიანო!
ნაყოფი ტკბილი და წითურია.
აქეთკენ, ჩვენსკენ, ადამიანო!

ნიავი ჩადგა, ფოთლები აღარ შრიალებდა. ერთი-და ისმოდა ყველგან და ყოველის მხრით:

აქეთკენ, ჩვენსკენ, ადამიანო!

ზეცაც, დედამიწაც, ბაღიც—თითქოს ყველა ერთს და იმავეს იძახის:

აქეთკენ, ჩვენსკენ, ადამიანო!

მაგრამ ადამს ახსოვს ღვთის ბრძანება და ადგილიდან არ იძვრის. მის ყურებში განუწყვეტლივ ისმის ეს მოწოდება, მაგრამ იგი ეწინააღმდეგება. ხელი ხეზედ უკიდია, ეკვრის და ადგილიდან არ იძვრის.

ბოლოს ხმები მისწყდა. ბაღში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ დაღვრემილი და დანაღვლიანებული ეშმაკი დადიოდა ბაღში. იმის შავს სახეს უფრო შავი ჩრდილი გადაეფარა. როდესაც ერთს ხეს გაუარა, ნელი შრიალი შემოესმა. მოიხედა და სიხარულით სახე გაუბრწყინდა. ევა იყო.

— საით მიდიხარ, მშვენიერო არსებავ?

— ადამთან, ეშმაკო.

— მართლა, გავიგე, ვითომ ღმერთმა დაგიშალა ამ ბაღის ნაყოფით სარგებლობა? ნუ თუ მართალია? სწორედ დაუჯერებელია...

— ოჰ, არა. ეშმაკო! ჩვენ ყველა ხის ნაყოფის სარგებლობა შეგვიძლიან, გარდა იმისა, რომელიც შუა ბაღში სდგას. მისი შეხებაც კი არ შეიძლება, რადგან იმ ხეში სიკვდილია. ოჰ, რა საშიშია, ეშმაკო, სიკვდილი!



**ოცნება.**—სურათი გრიმბერგისა.

— ჰა, ჰა, ჰა! ნუ თუ შენ, დედამიწის ჭკვიანო ქმნილებავ, გჯერა ეგ? ჰა, ჰა, ჰა! შენ მეტად მინდობილი ხარ. ყური მიგდე, რა გითხრა. მხოლოდ, თუ შეიძლებოდეს, ადამიანთან კრინტს ნუ დასძრავ ამის შესახებ. იმედია, ჩვენს შორის საიდუმლო საიდუმლოდვე დარჩება.

ეშმაკი ევასკენ დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

— სიკვდილი კი არა, ცოდნაა იმ ხეში. „ღმერთმა იცის, რომ იმ დღეს, როდესაც თქვენ იმის ნაყოფის გემოს გაიღებთ, თვალები აგეხილებათ, და თქვენ მისებრ გაარჩევთ კეთილს და ბოროტს“, იმიტომ... გესმის? მე თვითონ ვჭამე მაგის ნაყოფი და, როგორც ხედავ, ცოცხალი ვარ. ჰა, ჰა, ჰა! რა ფიქრად მოგსვლიათ: ასეთი მშვენიერი ხე, ასეთი გემრიელი ნაყოფი—და სიკვდილი!

ქალმა თავი აიღო, შეხედა ეშმაკს, შემდეგ ხეს, შემდეგ კიდევ ეშმაკს და ბოლოს ისევ ხეს.

— ჰო,—გადასწყვიტა მან:—ნაყოფი საჭმელად კარგია, შეხედულებითაც კარგია და, უეჭველია, ძალიან, ძალიან გემრიელია.

* *
*

უცბად ადამს ღამის სიჩუმეში ნელი, მისკენ მიმავალი ფეხის ხმა მოესმა. ღამის წყვდიადში დაინახა მისკენ მიმავალი ორი მნათობი—ორი თვალი. მაშინ ჩახედა შიგ და მთელის ტანით აცახცახდა. ფოთლები ხმამაღლა მოჰყვნენ ჩურჩულს, ნიავმა ნელად დაჰღიღინა, ჰაერი ჯადოქრობით და სიმღერით გაივსო.

თვალები კი თანდათან უახლოვდება. მაში ათასი ღმერთი მღერის: „მიყვარხარ მე შენ, ადამიანო!“ და ათასი ეშმაკი ღრიალებს: „აქეთკენ, ჩვენსკენ, ადამიანო!“ ღმერთები ეშმაკებში აირივნენ, ერთმანეთს ეხვევიან, ცეკვავენ, ხტიან და ერთად მღერიან:

მიყვარხარ მე შენ, ადამიანო!
აქეთკენ, ჩვენსკენ, ადამიანო!

ხმა მაღლა ისმის ეს მოწოდების სიმღერა. დიდებულია, ძლიერია. ცა და დედა-მიწა კანკალებს, ირგვლივ ყველა იხმობს და იძახის:

აქეთკენ, ჩვენსკენ, ადამიანო!

ადამიანს აღარაფერი ახსოვს... არც ღმერთი, არც ეშმაკი; თავისი თავიც კი გადაავიწყდა. მთლად მისწრაფებად და ნდობად გარდაიქცა; მთლად კანკალებდა. მისი ბაგენი ჩურჩულებენ; „ევა! ევა!“ ადგა ადგილიდან და წინ მიეგება გაშვერილ ხელებს.

*
* *

ჩქარის ნაბიჯით გასწია ეშმაკმა შემოქმედის ტახტისკენ, შავს სახეზედ ბოროტ ძლევა-მოსილების ღიმილი უთამაშებს.

— უფალო,—ამბობს იგი:—მეც გავაკეთე ჩემი საქმე.

— მერე?

— ჩამოდი ტახტიდან, მე დავჯდები.

ეშმაკმა შუა ბაღში მდგომ ხისკენ გაიშვირა თითი. იმის ქვეშ ადამი და ევა სხედან გადახვეულნი და აღკრძალულს ხილს შეექცევიან.

ღმერთი ღრმად ჩაფიქრდა.

ეშმაკი კი იმეორებს:

— ჩამოდი ტახტიდან, მე უნდა დავჯდე.

ბოლოს ეშმაკმა დაიყვირა!

— ზეცავ და დედა-მიწავ! მოწამენი იყავით!

ცის კიდურიდან და დედამიწის სიღრმიდან მოისმა ღაღადება:

არც ღმერთი, არც ეშმაკი;
მხოლოდ ის.

და ერთის მხრიდან მეორე მხარეს, ერთის თაობიდან მეორე თაობამდე მოისმის ეს ღაღადება მაღალის შეუწყვეტელის ბანით და იმეორებს.

არც ღმერთი, არც ეშმაკი.
მხოლოდ ის.

**დ. დეკანოზიშვილი.**




როგორ ატარებენ დროს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ 2 августа 1905 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.